საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0001351860

10/12/2021

შპს ალტე უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27[6]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2021 წლის 1 ივლისს შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა № 829 (ცენტრში რეგისტრაციის № 660163; 01/07/2021) სააკრედიტაციო განაცხადი "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 21 ივლისის № 728258 ბრძანების საფუძველზე, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - შპს ალტე უნივერსიტეტი) ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 2 სექტემბრის № 852482 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 27 სექტემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2021 წლის 12 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 26 ნოემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.1 და 1.2 კომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.1 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 4.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება; 5.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგნილი სააკრედიტაციო განაცხადი "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისშესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 10 დეკემბრის №1350561 სხდომის ოქმის №-03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რჩევები და რეკომენდაციები და განსაზღვრა შემდეგი

რეკომენდაციები:

4.1 პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის რეკომენდებულია, გახდეს სავალდებულო კვლევის მეთოდები;

4.2 რეკომენდირებულია დაზუსტდეს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო უსაფრთხოება“ წინაპირობა ან მოხდეს სასწავლო კურსის მოდიფიკაცია სწავლების საფეხურის შესაბამისად;

4.3 რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობის თანამედროვე განზომილება“ წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესავალი კურსები, ინგლისური ენა (3 ან 4) და შესაბამისად, გადანაცვლდეს კურიკულუმში;

4.4 სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“ წინაპირობის გარეშეა წარმოდგენილი. რეკომენდებულია, წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებში“;

4.5 რეკომენდირებულია, სასწავლო კურსის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“ წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობის საფუძვლები და განვითარების თანამედროვე ტენდენციები“;

4.6 რეკომენდებულია, მოხდეს მემორანდუმების განახლება;

4.7 ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან;

4.8 რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს ახალი მექანიზმები პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროგრამის შემუშავებაში ჩართულობის გასაძლიერებლად და სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნაში მათი ჩართულობის გადასამოწმებლად;

4.9 რეკომენდირებულია დაიგეგმოს ტრენინგები კურიკულუმის და სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიაში;

4.10 რეკომენდირებულია ხარისხის სამსახურმა აამოქმედოს შიდა ხარისხის მექანიზმები.

რჩევები:

4.11 პროგრემის მიზნების მიღწევისთვის სასურველია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სრულყოფა;

4.12 სასურველია პროგრამაში შეთავაზებული ინგლისურენოვანი სავალდებულო და არჩევითი კურსები ისწავლებოდეს მხოლოდ ბოლო მე-6 ნაწილის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების დასრულების შემდეგ, რომ სრულფასოვნად იყოს მიღწეული სწავლის შედეგები;

4.13 სასურველია, კურიკულუმს დაემატოს შესავალი კურსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ან გაძლიერდეს საბაზისო ცოდნა სხვადასხვა თეორიული სკოლების ძირითადი მახასიათებლებისა და დარგის ტერმონოლოგიის შესახებ;

4.14 მიზანშეწონილია არჩევით ბლოკში დაემატოს სპეციალობის შესაბამისი ეკონომიკური პროფილის სასწავლო კურსები;

4.15 პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი (არჩევითი სტატუსით);

4.16 საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველია მოხდეს შეფასების თითოეული კომპონენტის და განსაკუთრებით მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნათლად ფორმულირება სასწავლო კურსის სილაბუსებში;

4.17 უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობისა და დასაქმების შესაძლებლობის გაფართოების მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედ კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების პროცესები;

4.18 სასურველია მაქსიმალურად იქნას ათვისებული და გამოყენებული როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული

პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა EMIS-ის მექანიზმი და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის ერთიანი სისტემა;
4.19 სასურველია პროგრამის წარმომადგენლებმა შეიმუშაონ ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტების მეტად ჩართულობას პროგრამის თვითშეფასების, დახვეწისა და გაუმჯობესების პროცესებში;
4.20 სასურველია სამომავლოდ პროგრამის წარმომადგენლების აქტიური ხელშეწყობით, გაიზარდოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და კვლევით პროექტებში საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლი;
4.21 სასურველია პოტენციურ დამსაქმებლების წრის გაფართოება;
4.22 სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების
4.23 ანალოგიურ პროგრამებთან, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ანგარიშის სახით სასურველია, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში, სასურველია სტუდენტების წახალისება/ჩართვა ექსტრაკურიკულურ აქტივობებში.

5.ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 12 დეკემბერი.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 10 დეკემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საერთაშორისო ურთიერთოებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08.11.2012 გადაწყვეტილება No 646
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[7]	უნივერსიტეტის ქ N2, ქ. თბილისი; N1; 0177, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 10 დეკემბერი
18	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[8]	2022 წლის 12 დეკემბერი
19	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 11 დეკემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია;

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[8] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში